ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 1/80-2012

30.03.2012წ **ქ. თბილისი**

1. ერთი მხრივ,
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში- **მიმწოდებელი**) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის **საბა ჯიშიაშვილის** სახით
და მეორეს მხრივ,
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ ს/კ404389693 (შემდგომში- **შემსყიდველი**) წარმოდგენილი დირექტორის **ქეთევან ალექსიძის** სახით,

„სახელმწიფო“ შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯმდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი:** - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის - ბენზინი „პრემიუმის“ (ოქტანობა არანაკლებ 95) და ბენზინი ”რეგულარის” (ოქტანობა არანაკლებ 91) ნასყიდობა (CPV-09100000).

3. **ხელშკრულების საერთო ღირებულება:** 4450 ლარი (ოთხი ათას ოთხასორმოცდაათი) დღგ-ს ჩათვლით. ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება: 2 ლარი და 29 თეთრი პრემიუმის შემთხვევაში, ხოლო 2 ლარი და 16 თეთრი რეგულარის შემთხვევაში (ოქტანობა არანაკლებ 91).
4. **მიწოდების მოცულობა** საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: 1000 ლიტრი „პრემიუმი“ (ოქტანობა არანაკლებ 95) და 1000 ლიტრი რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 91).

5. **ანგარიშსწორება:** შემსყიდველის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. **ხელშკრულების მოქმედების ვადა:** ხელშეკრულების მხარეთა მიერ მათი უფლება-ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის ან/და დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. ხელშეკრულება დადებულია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“
იურიდიული მის.: ქ.თბილისის ძველი თბილისის რაიონში ჭანტურიას ქ # 12
ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, აეროპორტის დასახლება.
ს/კ : 404389693
ბანკი: სს „თიბისიბანკი“ ც/ფ
ბანკისკ ოდი: TBCBGE22
ა.ა: GE37TB7777736070100001

მიმწოდებელი

შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიულიმისამართი: ქ.თბილისი, ძველით ბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „თიბისიბანკი“-სც/ფ
ბანკისკოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001
ბანკი: სს „საქართველოსბანკი“-სც/ფ
ბანკისკოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000

დირექტორი
ქეთევან ალექსიძე

(ხელმოწერა)

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
საბა ჯიშიაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი